ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის“ საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმი № 1–1

ქ. ბათუმი 18.09.2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – ავთანდილ დარჩია ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდი”-ს თავმჯდომარე;

საკონკურსო კომისიის წევრი (მოადგილე) – ამირან შაქარაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდი”-ს კონსულტანტი;

საკონკურსო კომისიის წევრი – ლევან სამსონაძე ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის მთავრი სპეციალისტი (მოწვეული);

საკონკურსო კომისიის წევრი – გიორგი კაცაძე ა(ა)იპ ,,ბათუმის განვითარების ფონდის“ კონსულტანტი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ამირან შაქარაძემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – საკონკურსო განცხადების, საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო დოკუმენტაციის ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინის პროექტები.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების სადარბაზო კარების დიზაინისა და საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

2. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2013 წლის 25 სექტემბრიდან - 30 სექტემბრის 17:00 საათამდე პერიოდით.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ბათუმის განვითარების ფონდი“ (მის: ქ. ბათუმი ლუკა ასათიანის 25)

4. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ – გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დარჩია

საკონკურსო კომისიის წევრები: ამირან შაქარაძე

ლევან სამსონაძე

გიორგი კაცაძე

24560529